



საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის  
ქართული უნივერსიტეტი

*ხელნაწერის უფლებით*

## ინფორმატიკის, მათემატიკისა და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა სკოლა (ფაკულტეტი)

საგანმანათლებლო პროგრამა - ბიოლოგიურად აქტიურ ნივთიერებათა  
ქიმიკა და სამკურნალო პრეპარატების ექსპერტიზა

ვაჟა ნებიერიძე

## საქართველოში მოზარდი მცენარის *Tribulus* *terrestris* ცალკეული ორგანოების ქიმიური შედგენილობის შესწავლა

საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა დოქტორის  
აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად წარმოდგენილი  
ნაშრომის

სადისერტაციო მაცნე

მიმართულება - 05 საბუნებისმეტყველო მეცნიერებები  
დარგი/სპეციალობა - 0503 ქიმიკა

თბილისი  
2017

სადისერტაციო ნაშრომი შესრულებულია თსსუ იოველ ქუთათელაძის ფარმაკოქიმიის ინსტიტუტის სტეროიდული ნივთიერებების ლაბორატორიასა და საქართველოს საპატარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის ინფორმატიკის, მათემატიკისა და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა სკოლის (ფაკულტეტის) მიმართულებაზე.

სამეცნიერო ხელმძღვანელი: **1. ეთერ ქემერტელიძე**  
აკადემიკოსი, ფარმაცევტულ  
მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

ოფიციალური ოპონენტები: **1. ნუგზარ ალექსიძე**  
ბიოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი,  
პროფესორი  
**2. მია მერლანი**  
ქიმიის აკადემიური დოქტორი,  
პროფესორი

დისერტაციის დაცვა შედგება 2017 წლის „ 10 ივლისს“ 14 საათზე.

საქართველოს საპატარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის ინფორმატიკის, მათემატიკისა და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა სკოლის (ფაკულტეტის) სადისერტაციო კომისიის სხდომაზე.

მისამართი: 0162, თბილისი, ილია ჭავჭავაძის ქ. №53ა, II კორპუსი, აკადემიკოს ილია ვეკუას სახელობის 104 აუდიტორია.

დისერტაციის გაცნობა შეიძლება საქართველოს საპატარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის სამეცნიერო ბიბლიოთეკაში.

სადისერტაციო მაცნე დაიგზავნა 2017 წლის „\_\_\_\_\_“

**სადისერტაციო საბჭოს მდივანი,**  
ტექნიკურ მეცნიერებათა კანდიდატი, პროფესორი

თემურ კვიციანიძე

# 1. ნაშრომის ზოგადი დახასიათება

## 1.1 თემის აქტუალობა

მიუხედავად ორგანული სინთეზის უდიდესი წარმატებისა, ბუნებრივ ნივთიერებებს და მათ შორის მცენარეული წარმოშობისას განსაკუთრებული ადგილი უჭირავთ სამკურნალო პრეპარატების შექმნის დარგში. ბოლო ხანებში ანტიბიოტიკების, სულფანილამიდების და რიგი სხვა სინთეზური პრეპარატებისადმი მრავალი დაავადების რეზისტენტობამ (შემგუებლობამ), არასასურველმა თანამოვლენებმა, მსოფლიოში კიდევ უფრო გააძლიერა ინტერესი მცენარეული სამკურნალო საშუალებებისადმი.

საქართველოს მრავალფეროვანი ფლორა, სადაც 4600-მდე სახეობა აღწერილი, ბიოლოგიურად აქტიურ ნივთიერებათა დაუშრეტელი წყაროა, ფარმაკოქიმიური კვლევებისათვის განუსაზღვრელ პერსპექტივას წარმოადგენს და სხვადასხვა მოქმედების მქონე პრეპარატების შექმნის დიდ შესაძლებლობას იძლევა.

თანამედროვე მედიცინის ერთ-ერთი პოლიმორფული ფარმაკოლოგიური ეფექტურობის და თერაპევტული მოქმედების საუკეთესო სამკურნალო მცენარედ აღიარებულია *Tribulus terrestris L.* - კუროსთავი. მრავალრიცხოვანი გამოკვლევებით დადგენილია, რომ კუროსთავი მოქმედებს ორგანიზმის თითქმის ყველა სასიცოცხლო ფუნქციაზე, რასაც მცენარეში არსებული ბიოლოგიურად აქტიური ნივთიერებები განაპირობებენ.

ჩვენი ფლორის კუროსთავის თერაპევტული ეფექტურობა დადასტურებულია რამდენიმე ათეული წლის წინ შექმნილი პრეპარატ ტრიბუსპონინით, რომელიც ათეროსკლეროზის სამკურნალო და პროფილაქტიკური, აგრეთვე არასპეციფიკური ანაბოლიტური საშუალებაა და წარმატებით იხმარება სამედიცინო პრაქტიკაში საბჭოთა კავშირში, რუსეთში და საქართველოში.

## 1.2 კვლევის ძირითადი მიზანი და ამოცანები

- ❖ ნაშრომის მიზანს შეადგენს საქართველოში მოზარდი *Tribulus terrestris L.* - კუროსთავის ცალკეული ორგანოების ქიმიური შედგენილობის შესწავლა, სამკურნალო პრეპარატების წარმოებისათვის მათი გამოყენების შესაძლებლობის დასადგენად.
- ❖ მცენარის ცალკეული ორგანოებიდან სხვადასხვა ქიმიური კლასის ნივთიერებათა გამოყოფა, მათი გამდიდრებული ფრაქციების

მიღება, ინდივიდუალურ კომპონენტებად დაყოფა, ქიმიკო-ქიმიური თვისებების შესწავლა და სტრუქტურების დადგენა.

- ❖ კუროსთავის პრაქტიკაში გამოყენების შესაძლებლობის განსაზღვრა და გამოყენება.
- ❖ კვლევის ძირითად ამოცანას წარმოადგენს ჩვენში მოზარდი კუროსთავის ქიმიური შედგენილობის შესწავლა, სავარაუდოდ ახალი მონაცემების მიღებისათვის.

### 1.3 ნაშრომის მეცნიერული სიახლე და ძირითადი შედეგები

შესწავლილია საქართველოში მოზარდი კუროსთავის ცალკეული ორგანოების წონითი შეფარდება მთლიან მცენარესთან.

ნაჩვენებია, რომ მთავარი მოქმედი ნივთიერებით - ფუროსტანოლური გლიკოზიდებით მდიდარია ფოთლები, შემდეგ ნაყოფები, ფესვები და ღეროები. საქართველოს სხვადასხვა კლიმატურ-ნადაგობრივ ზონაში მოზარდ მცენარეში მათი რაოდენობა ცვალებადობს, მაგრამ ძირითადი ტენდენციები შენარჩუნებულია.

სხვადასხვა ქიმიური კლასის ნივთიერებებზე შესწავლილია მცენარის ცალკეული ვეგეტატიური ორგანოები. გამოყოფილი და დახასიათებულია 50 ინდივიდუალური კომპონენტი, მათ შორის 9 ახალი ორგანული ნივთიერება.

დადგენილია, რომ კუროსთავში ძირითადი სტეროიდული საპოგენინებია დიოსგენინი, ტიგოგენინი, ჰეკოგენინი, გიტოგენინი და მათი წარმოებული გლიკოზიდები.

გამოყოფილია 9 სხვადასხვა ფუროსტანოლური გლიკოზიდი, მათ შორის 2 ახალი ორგანული ნივთიერება.

მიღებულია 10 ფლავონოიდური და 3 ფენოლური ნივთიერება. აღსანიშნავია ფლავონოიდების მონოსაქარიდულ ნაწილში შედარებით იშვიათი მონოსაქარიდ აპიოზას შემცველობა. იზოლირებულია 4 ახალი აპიოზას შემცველი ფლავონოიდური გლიკოზიდი, რომელთაც აპოტიროზიდეები A, B, C, D ეწოდათ. საგულისხმოა მცენარეში სულფლირებული ფენოლის არსებობა.

აღწერილია *Tribulus*-ის გვარისთვის ახალი ქიმიური კლასის ნივთიერებების ნუკლეოზიდები. იზოლირებულია: ადენოზინი, გუანოზინი, ციტიდინი, ურიდინი და ფუმე ადენინი.

დადგენილია *terrestris*-ში ერთი ახალი მეგასტიგმანის არსებობა, რომელიც β-იონონის ტიპის მეგასტიგმანის გლიკოზიდური ფორმის არის.

ექსპერიმენტული გამოკვლევებით დადგენილია და თეორიულად დასაბუთებულია, რომ საქართველოში გავრცელებული კუროსთავი

მდიდარია სხვადასხვა ქიმიური კლასის ნივთიერებებით, რომლებიც შეიძლება აღმოჩენილი იქნენ სხვა რეგიონებში მოზარდ მცენარეშიც.

საქართველოში მოზარდი კუროსთავის მდიდარმა ქიმიურმა შედგენილობამ, რიგი ახალი მონაცემებით, შეიძლება გარკვეული სიცხადე შეიტანოს ამ მცენარის მრავალმხრივი ფარმაკოლოგიური ეფექტურობის მექანიზმის ახსნაში.

ყურადსაღებია კუროსთავის ალელოპათიაში გამოყენების შესაძლებლობა. მოწოდებულია სოფლის მეურნეობის კულტურების ზრდა-განვითარების ეფექტური სტიმულატორის მიღების ახალი გაუმჯობესებული ვარიანტი. პრეპარატის მეტად მცირე კონცენტრაციის წყლიან ხსნარის ზემოქმედებით იზრდება მცენარის თესლების გაღვივება, მნიშვნელოვნად მაღლდება მოსავლიანობა, ეკოლოგიურად სუფთა მაღალხარისხოვანი პროდუქტი მიიღება.

მოწოდებულია (ჩვენი მონაწილეობით) კუროსთავის ნატურალური წამლის ფორმა ბიოლოგიურად აქტიური დანამატის სახით, რომელშიც შენარჩუნებულია მცენარეში არსებული ნივთიერებები ბუნებრივი სახით და ცნობილი პრეპარატის ტრიბუსპონინის ანალოგიური ეფექტურობით ხასიათდება.

კუროსთავის ნაყოფების სპირტწყლიანი ექსტრაქტი ბიოლოგიურ ექსპერიმენტში აშკარად გამოხატულ სპეციფიკურ არაოპიოდურ ტკივილგამაყუჩებელ მოქმედებას ამჟღავნებს. კვლევები მისგან სავარაუდო სამკურნალო პრეპარატის შექმნისთვის გაგრძელდება.

#### 1.4 კვლევის თეორიული და მეთოდოლოგიური საფუძვლები

*Tribulus terrestris* - კუროსთავის ცალკეული ორგანოების ექსტრაქციას ვახდენდით 75 % მეთანოლით.

ნაყოფებს ლიპოფილური ნივთიერებებისგან ვათავისუფლებდით ფორექსტრაქციით - პეტროლეინის ეთერით (40-60°) და ქლოროფორმით სოქსლეტის ტიპის აპარატში.

თხელფენოვანი ქრომატოგრაფირებისათვის (თფქ) ვიყენებდით სილიკაგელის ფირფიტებს (*Silicagel 60 F 254, Merck*). სვეტურ ქრომატოგრაფირებას ვახდენდით (სქ): *Diaion HP-20-ზე, Sefadex LH-20-ზე* და სილიკაგელზე (63/100  $\mu\text{m}$  და 40/63  $\mu\text{m}$  Merck).

თფქ-სათვის უნივერსალური სისტემა აღმოჩნდა: ქლოროფორმი-მეთანოლი-წყალი (26:14:3).

თფქ-ზე სტეროიდულ ნივთიერებებს ვამჟღავნებდით შემდეგი რეაქტივებით:

- ა) *Sannie-Lapin* - სანიე-ლაპინის რეაქტივი: ვანილინის 1% სპირტიანი ხსნარი, ძმარმჟავა ანჰიდრიდის და კონც. გოგირდჟავას ნარევი (12:1);
- ბ) *Matthews* - მათეუსის რეაქტივი: ვანილინის 0,5% ხსნარი ეთანოლში, შემდგომი გოგირდმჟავას დამუშავებით;
- გ) *Erlich* - ერლიხის რეაქტივი: 1,4-პარადიმეთილამინო-ბენზალდეჰიდის 1% ხსნარი ეთანოლში და შემდეგ კონც. მარილმჟავა.

თფქ ფენოლური ნივთიერებების გამჟღავნებისათვის და კერძოდ ფლავონოიდებისთვის:

- ა)  $\text{CeSO}_4 \cdot 2\text{H}_2\text{O}$ -იანი ხსნარი კონც. გოგირდმჟავასთან;
- ბ) რკინის ქლორიდის 1-5% ხსნარი.

ლღობის ტემპერატურას ვსაზღვრავდით *Electrothermal 9100* აპარატზე, გაცხელებას ვახდენდით სისწრაფით  $4^\circ\text{C}/\text{წთ}$ .

ოპტიკურ ბრუნვას ვზომავდით *Perkin-Elmer 192* პოლარიმეტრზე. მასს-სპექტრებს ვიღებდით *Amazon SL (Bruker)* მასს-სპექტომეტრზე. ბმრ სპექტრულ ანალიზს ვატარებდით *Avance II 600 MHz CD<sub>3</sub>OD*-ში.

ფენოლური ნივთიერებათა დაყოფა, თვისობრივი და რაოდენობრივი ანალიზი სრულდებოდა *Agilent 1100* სერიის მაღალეფექტურ სითხეზეან ქრომატოგრაფზე (HPLC).

საანალიზო ნიმუშებს ვაშრობდით ვაკუუმ-პისტოლეტში ფოსფორმჟავას ანჰიდრიდზე, ტოლოლის დუღილის ტემპერატურაზე 4-8 სთ განმავლობაში.

## 1.5 ნაშრომის პრაქტიკული მნიშვნელობა

კუროსთავის ცალკეული ნაწილების ქიმიური შედგენილობიდან გამომდინარე პრეპარატ ტრიბუსპონინისა და სხვა სამკურნალო საშუალების წარმოებისათვის რეკომენდებულია მცენარის მთლიანი მასის გამოყენება.

გადაწყვეტილია კუროსთავის ალელოპათიაში გამოყენების საკითხი, როგორც სოფლის მეურნეობის კულტურების ზრდა-განვითარების და მოსავლიანობის ზრდის ეფექტური სტიმულატორის.

ჩვენი უშუალო მონაწილეობით, შემუშავებულია კუროსთავის ნატურალური ფორმა, ბიოლოგიურად აქტიური დანამატის სახით „ათეროსპონინის“ სახელწოდებით, რომელშიც შენარჩუნებულია მცენარეში არსებული ნივთიერებები ბუნებრივი სახით და ტრიბუსპონინის ანალოგიური ეფექტურობით ხასიათდება.

კუროსთავის ნაყოფების სპირტწყლიანმა ექსტრაქტმა ბიოლოგიურ ექსპერიმენტში სპეციფიკური არაოპიოდური ტკივილგამაყუჩებელ მოქმედება გამოამჟღავნა. გაგრძელდება კვლევები მისგან სავარაუდო სამკურნალო პრეპარატის შესაქმნელად.

### **1.6 ნაშრომის სტრუქტურა და მოცულობა**

დისერტაცია მოიცავს: ანოტაციას (ქართულ და ინგლისურ ენებზე), შესავალს, ლიტერატურულ მიმოხილვას; ექსპერიმენტულ ნაწილში აღწერილია საკვლევი ობიექტები და კვლევის მეთოდები, საკუთარი კვლევის შედეგები, მათი განხილვა, დასკვნები, ერთი დანართი. გამოყენებული ლიტერატურის სიას სადაც 125 წყაროა მითითებული. შრომა ილუსტრირებულია 24 ცხრილით და 42 სურათით. ნაშრომის მოცულობა 114 გვერდია.

## 2. ნაშრომის ძირითადი შინაარსი

### 2.1 კვლევის ობიექტი

კვლევის ობიექტად ვიყენებდით საქართველოში სხვადასხვა რეგიონში შეგროვილ *Tribulus terrestris* L. - კუროსთავს.

*Tribulus terrestris* L. (ოჯახი *Zygophyllaceae*) ერთწლოვანი, ბალახოვანი სარეველა, მიწაზე გართხმული მცენარეა, რადიალურად განლაგებული 10-100 სმ სიგრძის ღეროებით, მორიგეობით განწყობილი ფრთიანი 8-10 მმ სიდიდის ფოთლებით, პატარა ზომის 4-10 მმ ფართის 5 ფურცლისაგან შემდგარი ლიმონისფერი ყვავილებით. ნაყოფი 0.8-10 მმ, მაგარი 2-5 ნაწილიანი ეკლიანი წვეტებით. ფესვი 7-15 სმ სიგრძის, მოყვითალო ფერის, პატარა ფესურებით.

*Tribulus* - ლათინური სიტყვაა და ნიშნავს „სამი ბასრი“ (caltrop) ეკლიანი, რაც ზემოთ აწეული, სამად დაყოფილი ნაყოფის ბასრ დაბოლოებაზე მიუთითებს.

იზრდება ყველა კონტინენტზე ანტარქტიდის გარდა. სუბტროპიკულ ქვეყნებში მრავალწლოვანი მცენარეა, ხოლო ცივ და ზომიერ კლიმატის ზონებში ერთწლოვანი.

*Tribulus* სანიმუშო მცენარეა, გამოყენების 50 საუკუნოვანი ისტორია აქვს. იხმარება აზიური ქვეყნების ტრადიციულ მედიცინაში მრავალი დაავადების შემთხვევაში, უმეტესწილად ჰორმონების პროდუქტიულობის გასაუმჯობესებლად მამაკაცებში და ქალებში.

კუროსთავი საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ფარმაკოქიმიის ინსტიტუტის დიდი ხნის კვლევის ობიექტია. პირველად აქ დადგინდა მასში სტეროიდული გლიკოზიდების არსებობა, გამოყოფილი და დახასიათებული იქნა Δ5,6 საპოგენინი - დიოსგენინი. გასული საუკუნის 70-იან წლებში კუროსთავისგან შეიქმნა პრეპარატი „ტრიბუსპონინი“ - ათეროსკლეროზის სამკურნალო და პროფილაქტიკური, აგრეთვე ანაბოლიტური საშუალება.

### 2.2 კვლევის მეთოდები

სტეროიდული გლიკოზიდები კუროსთავის ცალკეულ ორგანოებში სხვადასხვა რაოდენობით გროვდება და მთლიან მცენარეში მათი შემცველობა ვეგეტატიური ნაწილების წონით შეფარდებაზე დამოკიდებული. საჭიროება მოითხოვდა ცალკეული ორგანოს წონითი შეფარდების და სტეროიდული ნივთიერებების განსაზღვრას.



დაკვირვებებმა გვიჩვენა, რომ თბილისის მიდამოებში შეგროვილ კუროსთაგვი ცალკეული ორგანოს წონითი შეფარდებითი წილი მთლიანი მცენარის მიმართ ასეთია (%): ფოთოლი 39,6; ნაყოფი 26,3; ღერო 31,5; ფესვი 2,6.

კვლევის შემდეგ ეტაპზე ჩავატარეთ ცალკეულ ორგანოებში სტეროიდების შემცველობის წინასწარი ანალიზი.

ჰაერმშრალ დაწვრილმანებულ ნედლეულის 100 გ-ს 75 %-იანი ეთანოლით ვწვლილავდით 3 ჯერადად. გაერთიანებული ექსტრაქტიდან სპირტს გამოვხდით, წყლიან სითხეს ვასუფთავებდით ქლოროფორმით, ვასქელებდით, ვაშრობდით და ვწონიდით. ნაშთი გადაგვქონდა ადსორბენტ Diaion HP 20-ის სვეტზე. სვეტს ვრეცხავდით თანმიმდევრობით წყლით, 35 % და 80 % მეთანოლით. ელუატებს ვასქელებდით, ვაშრობდით და ვწონიდით; სტეროიდული გლიკოზიდების ჯამის გამოსავალი შეადგენდა (%) ფოთლებიდან 5.5, ნაყოფებიდან 3.2, ღეროებიდან 2.4, ფესვებიდან 4.

ვატარებდით გამოყოფილ ჯამებში სტეროიდების რაოდენობით ანალიზს სპექტროფოტომეტრული მეთოდით.

ანალიზისთვის ვიღებდით კუროსთავის ცალკეული ორგანოების 5 გ ვათავსებდით 100 მლ მოცულობის ბრტყელძირა კოლბაში, ვუმატებდით 50 მლ მეთანოლს, სითხეში ვყურსავდით შემრევ ჩხირს, კოლბას ვწონიდით და ვათავსებდით მაგნიტურ სარეველაზე ადულებიდან 1 სთ-ის განმავლობაში. ექსტრაქციის დამთავრების შემდეგ კოლბას ვაციებდით ოთახის ტემპერატურამდე, ვწონიდით (მასაში დანაკარგის შემთხვევაში ვავსებდით მეთანოლით) და ვფილტრავდით.

ფილტრატის 10 მლ გადაგვქონდა 50 მლ მოცულობის გამზომ კოლბაში და მოცულობას ვავსებდით ჭედმდე მეთანოლით („ა“ ხსნარი). „ა“ ხსნარის 5 მლ გადაგვქონდა სინჯარაში, ვუმატებდით 5 მლ 1 % პარადიმეთილამინობენზალდეჰიდის ხსნარს („ბ“ ხსნარი). საკონტროლო ცდისთვის „ა“ ხსნარს ვუმატებდით 4-ნ ქლორწყალბადმჟავას („გ“ ხსნარი). „ბ“ და „გ“ ხსნარებს ვათავსებდით ულტრათერმოსტატში 57-60 °C ტემპერატურაზე 2 სთ. გაციების შემდეგ ოპტიკურ სიმკვრივეს ვსაზღვრავდით სპექტროფოტომეტრით (Nano spec-2) 518 ნმ ტალღის სიგრძეზე.

ფუროსტანოლური გლიკოზიდების შემცველობას ვანგარიშობდით კობალტის ქლორიდის მრუდეზე ფორმულით:

$$x = \frac{940,1 * 50 * m}{m1 * K(100 - w)}$$

სადაც:

- 940,1 - ფუროსტანოლური გლიკოზიდების გადაანგარიშების კოეფიციენტი კობალტის ქლორიდის კონცენტრაციაზე
- 50 - გამოსაკვლევი ხსნარის საწყისი მოცულობა, მლ
- m - კობალტის ქლორიდის რაოდენობა საკალიბრო მრუდის მიხედვით, გ
- ml - ნედლეულის მასა, გ
- K - შესწორების კოეფიციენტი მჟავას ტიტრზე
- w - ტენიაობა

აღმოჩნდა, რომ ფოთლების გასუფთავებულ ჯამში ფუროსტანების რაოდენობა შეადგენს(%) 71, ნაყოფებში 45, ღეროებში 14, ფესვებში 25. ამრიგად კუროსთავის ფოთლები 3,9% ფუროსტანოლური რიგის სტეროიდებს შეიცავს, ნაყოფები 1,35%, ღეროები 0,33%, ხოლო ფესვები 1 %.

ცხრილი 1

მცენარის ორგანო	მილიანი მცენარიდან მასური წილი, %	სტეროიდული გლიკოზიდების ჯამის გამოსავალი, %	ფუროსტანოლური გლიკოზიდების შემცველობა ჯამში, %	მცენარის ცალკეულ ორგანოში ფუროსტანოლური გლიკოზიდების შემცველობა, %
ფოთლი	39,6	5,5	71	3,9
ღერო	31,5	2,4	14	0,33
ნაყოფი	26,3	3,2	45	1,35
ფესვი	2,6	4,0	25	1,0

კუროსთავის ფოთლების საპოგენინების თვისობრივი შედგენილობის შესწავლის მიზნით ფოთლების 80% მეთანოლიანი ექსტრაქტის მჟავურ ჰიდროლიზს ვატარებდით, 20 გ ექსტრაქტს ვხსნიდით 60 მლ წყალში, ვუმატებდით 40 მლ კონც. HCl და 50% მეთანოლით გაჯერებულ 50 მლ ბენზოლს. ვადუღებდით წყლის აბაზანაზე 3 სთ განმავლობაში. ნარევის გაცივების შემდეგ ბენზოლის ფენას გამოვყოფდით, წყლიანს ორჯერ ვწვლილავდით 15-15 მლ ბენზოლით. გაერთიანებულ ბენზოლიან გამონაწვლილს ვრეცხავდით წყლით ნეიტრალურ რეაქციამდე, განეიტრალებულ ბენზოლის ფენას ვამუშავებდით კალიუმის ტუტის ნაჯერი ხსნარით მეთანოლში, ბენზოლიან ფენას კვლავ ვრეცხავდით ნეიტრალურ რეაქციამდე, ვაუწყლოებდით უწყლო ნატრიუმის სულფატით და ვასქელებდით. ვღებულობდით სტეროიდული საპოგენინების ჯამს 0.95 გ. აღმოჩნდა, რომ კუროსთავის ფოთლებში ძირითადი საპოგენინებია: დიოსგენინი, ტიგოგენინი და ჰეკოგენინი.

კუროსთავის (ფოთლი, ღერო, ფესვი) სხვადასხვა ნივთიერებებით გამდიდრებულ ჯამის გამოყოფას შემდეგნაირად ვახდენდით: ჰაერმშრალ, დაწვრილმანებულ ნედლეულის 100 გ ვწვლილავდით 75% მეთანოლით 4 ჯერადად, 3 ჯერ ოთახის ტემპერატურაზე და შემდეგ მდულარე წყლის

აბაზანაზე გამსხნელის დუდილის ტემპერატურამდე 2 სთ-ის განმავლობაში. გაერთიანებულ ექსტრაქტებს ვფილტრავდით ბიუხნერის ძაბრში, ვასქელებდით ვაკუუმ-როტაციულ აპარატზე სპირტის სრულ მოცილებამდე, დარჩენილ წყლიან ხსნარს ვწვლილავდით ქლოროფორმით, წყლიან სითხეს შევასქელებდით და ნაშთს ვაშრობდით ვაკუუმ-მაშრობ კარადაში ფოსფორმჟავას ანჰიდრიდის თანაობისას. ქლოროფორმით იწვლილება ნაკლებ პოლარული ნივთიერებები.

კუროსთავის ჰაერმშრალი დაწვრილმანებული ნაყოფების 100 გ ვათავსებდით სოქსლეტის ტიპის აპარატში და ვწვლილავდით ჯერ პეტროლეინის ეთერით 16 სთ-ის განმავლობაში შემდეგ ქლოროფორმით. ცხიმოვანი და ლიპოფილური ნივთიერებებისგან განთავისუფლებულ ნედლეულს ვაშრობდით ჰაერზე, ვათავსებდით მრგვალძირა კოლბაში, ვუმატებდით 75 %-იან ეთანოლს და ექსტრაქციას ვაწარმოებდით წყლის აბაზანაზე გაცხელებით 3ჯერ. გაერთიანებულ ექსტრაქტებს ვფილტრავდით, ვასქელებდით და ვაშრობდით.

ქიმიური შედგენილობის შესწავლის ობიექტად ქლოროფორმით გასუფთავებულ წყლიან ნაშთს ვიყენებდით.

გამშრალი მასა გადაგვქონდა Diaion HP-20-ის სვეტზე, ელუირებას ვახდენდით წყლით, 35 % და 80 % მეთანოლით. მიღებულ ფრაქციებს ვასქელებდით ვაკუუმ-როტაციულ აპარატზე სპირტის სრულ მოცილებამდე, ვაშრობდით ვაკუუმ მაშრობ კარადაში. შედეგად ვღებულობდით პოლარული ნივთიერებებით და სტეროიდული გლიკოზიდებით გამდიდრებულ ჯამებს.


35 % და 80 % ფრაქციის 3 გ დაყოფას ვაგრძელებდით Sephadex LH-20-ის სვეტზე (5X100 სმ) მეთანოლით. მიღწეული იქნა გლიკოზიდთა ჯამების უხეში დაყოფა, რომლებსაც შემდგომში ვატარებდით სხვადასხვა ზომის სილიკაგელის (63/100; 40/63) სვეტებზე (2,5X100 სმ). ელუირებას ვახდენდით სისტემით ქლოროფორმი-მეთანოლი-წყალი 26:14:3;

შედეგად, კუროსთავის ცალკეული ორგანოებიდან გამოყოფილია 22 ფუროსტანოლური, 15 ფლავონოიდური, 3 ფენოლური, 5 ნუკლეოზიდი, 1 ალკალოიდი და საქაროზა.


თითოეული ინდივიდუალური ნივთიერების სრული ქიმიური სტრუქტურები დადგინდა ფიზიკურ-ქიმიური მაჩვენებლებით, ერთ- და ორგანზომილებიანი ბირთვულ მაგნიტურ რეზონანსული ( $^1\text{H}$ ,  $^{13}\text{C}$  NMR, HSQC, HMBC, COSY) და მას-სპექტროსკოპიის გამოყენებით.

### 2.3 მიღებული შედეგები და მათი განხილვა

კვლევის პირველ ეტაპზე შევისწავლეთ ცალკეული ორგანოების სტეროიდული გლიკოზიდები. სხვადასხვა ადსორბენტებზე განაწილებითი და ადსორბციული ქრომატოგრაფირებით ფოთლებიდან იზოლირებული და დახასიათებულია დიოსგენინის, ტიგოგენინის, ჰეკოგენინის წარმოებული 9 ფუროსტანოლური გლიკოზიდი: (25R)-26-O-β-D-გლუკოპირანოზილ-ფუროსტ-5(6), 20(22)-ენ-3β,26-დიოლ 3-O-α-L-რამნოპირანოზილ-(1→2)-O-4-სულფო-β-D-გლუკოპირანოზიდი; (25R)-26-O-β-D-გლუკოპირანოზილ-5α-ფუროსტან-20(22)-ენ-3β,26-დიოლ-12-ონ 3-O-β-D-ქსილოპირანოზილ-(1→2)-O-[β-D-გლუკოპირანოზილ-(1→3)]-O-β-D-გლუკოპირანოზილ-(1→4)-O-β-D-გალაქტოპირანოზიდი; პროტოტრიბესტინი; პროტოდიოსცინი; ფსევდოპროტოდიოსცინი; ქლორომალოზიდი E; ტერესტრინინ B; ტერესტროზიდი A; პოლიანთოზიდი D მათ შორის 1 და 2 ახალი ორგანული ნივთიერებებია.



ფუროსტანი 1



ფუროსტანი 2

ნაყოფებიდან გამოყოფილია 5 ფუროსტანოლური გლიკოზიდი: პროტოდიოსცინი, ფსევდოპროტოდიოსცინი, პროტოტრიბესტინი, ტერესტრინინ B და ტერესტროზიდი A.

ღეროების გლიკოზიდებიდან იდენტიფიცირებულია 3 ნივთიერება: პროტოდიოსცინი, პროტოტრიბესტინი და 25(R)-26-O-β-D-გლუკოპირანოზილ-ფუროსტ-5(6), 20(22)-ენ, 3β, 26-დიოლ 3-O-α-L-რამნოპირანოზილ-(1→2)-4-O-სულფო-β-D-გლუკოპირანოზიდი (ფუროსტანი 1).

ფესვებიდან მიღებულია 5 ფუროსტანოლური ნივთიერება: 25 (R)-6-O-β-D-გლუკოპირანოზილ-5α-ფუროსტ(20(22)-ენ, 12-ონ, 3β, 26-დიოლ 3-O-β-D-ქსილოპირანოზილ-(1→3)-[O-β-D-გლუკოპირანოზილ-(1→2)]-O-β-D-გლუკოპირანოზილ-(1→4)-O-β-D-გალაქტოპირანოზიდი (ფუროსტანი 2), ტერესტრინინ B, ქლორომალოზიდი E, ტერესტროზიდი A და პოლიანთოზიდი D.

ნაყოფების, ღეროების და ფესვების ფუროსტანოლური გლიკოზიდები ფოთლებიდანაც არის გამოყოფილი და დახასიათებული.

ვაგრძელებდით კვლევებს ფლავონოიდური გლიკოზიდების მიმართულებით და ახალი მონაცემები მივიღეთ.





განსაკუთრებით საყურადღებოა, რომ კუროსთავის ფლავონოიდების მონოსაქარიდულ ნაშთში შედარებით იშვიათი მონოსაქარიდის **აპიოზას** შემცველი ფლავონოიდური გლიკოზიდები აღმოჩნდა, რომელთაც ჩვენ **აპიოტრიბოზიდები** ვუწოდეთ.

ფლავონოიდური გლიკოზიდებით გამდიდრებული ჯამის შესწავლას ვახდენდით HPLC ანალიზის გამოყენებით.

ქრომატოგრაფიული ანალიზი განხორციელდა Agilent 1100 სერიის მადალეფექტურ სითხოვან ქრომატოგრაფზე. მობილურ ფაზად ვიყენებდით სისტემას: აცეტონიტრილი-წყალი გრადიენტულ პირობებში: 0 წთ 20 % აცეტონიტრილი, 20 წთ 40 %-, 40 წთ 60%-, 60 წთ 80 %. დეტექტირებას ვახდენდით 365, 254 და 210 ნმ ტალღის სიგრძეზე.


HPLC და სვეტური ქრომატოგრაფიული დაყოფით ფოთლებიდან მიღებულია 10 ფლავონოიდური გლიკოზიდი, საიდანაც 2-5 აპიოზის შემცველი ახალი ორგანული ნივთიერებაა: ქვერცეტინ 3-O-α-L-რამნოპირანოზილ-(1→6)-O-β-D-გლუკოპირანოზილ 7-O-β-D-გლუკოპირანოზიდი; ქვერცეტინ-3-O-β-D-აპიოფურანოზილ-(1→2)-[β-D-აპიოფურანოზილ-(1→6)]-β-D-გლუკოპირანოზიდი- აპიოტრიბოზიდი A;

ქვერცეტინ-3-O-β-D-აპიოფურანოზილ-(1→2)-[α-L-რამნოპირანოზილ-(1→6)]-β-D-გლუკოპირანოზიდი- აპიოტრიბოზიდი B; იზორამნეტინ-3-O-β-D-აპიოფურანოზილ-(1→2)-[β-D-აპიოფურანოზილ-(1→6)]-β-D-გლუკოპირანოზიდი - აპიოტრიბოზიდი C; იზორამნეტინ-3-O-β-D-აპიოფურანოზილ-(1→2)-[α-L-რამნოპირანოზილ-(1→6)]-β-D-გლუკოპირანოზიდი- აპიოტრიბოზიდი D; ქვერცეტინ 3-O-α-L-რამნოპირანოზილ-(1→6)-O-β-D-გლუკოპირანოზიდი; ქვერცეტინ 3-O-α-L-რამნოპირანოზილ-(1→6)-O-β-D-გალაქტოპირანოზიდი; კემფეროლ-3-O-(6"-O-პარა-კუმაროილ-გლუკოზიდი); იზორამნეტინ-3-O-რუტინოზიდი; კემფეროლ-3-O-რუტინოზიდი.



ნაყოფებიდან გამოყოფილია 1 ფენოლური და 5 ფლავონოიდური გლიკოზიდი: *p*-ჰიდროქსიბენზოეს მჟავა, ქვერცეტინ 3-O- $\alpha$ -L-რამნოპირანოზილ-(1 $\rightarrow$ 6)-O- $\beta$ -D-გლუკოპირანოზიდი; იზორამნეტინ-3-O-რუტინოზიდი; კემფეროლ-3-O-რუტინოზიდი; აპოტრიბოზიდი B და აპოტრიბოზიდი C.

ფესვებიდან მიღებულია 2 ინდივიდუალური ფენოლური ნივთიერება: სალიცილის მჟავა და ახალი ორგანული გლიკოზიდი ბენზილ 2-O-სულფო- $\beta$ -D-გლუკოპირანოზიდი.




**ბენზილ 2-O-სულფო- $\beta$ -D-გლუკოპირანოზიდი**


*Tribulus terrestris*-ში ჩვენს მიერ პირველადაა აღმოჩენილი ამ გვარისათვის ახალი ქიმიური კლასი - ნუკლეოზიდები.

დიაიონზე დაყოფილი 35 % ფრაქციების მრავალჯერადი ქრომატოგრაფირებით სილიკაგელის სხვადასხვა ზომის სვეტებზე მიღებული იქნა 5 ინდივიდუალური ნივთიერება, რომლებიც ფიზიკურ-ქიმიური თვისებებით და სპექტრული მონაცემებით ნუკლეოზიდები

აღმოჩნდნენ. ფესვებიდან - ადენოზინი, გუანოზინი, ციტიდინი, ნაყოფებიდან - ურიდინი, ფოთლებიდან ფუძე - ადენინი.



კუროსთავის ცალკეული ორგანოებიდან სტეროიდული, ფლავონოიდური გლიკოზიდების და ნუკლეოზიდების გარდა იზოლირებულია ფოთლებიდან: β-იონონის ტიპის მეგასტიგმანის გლიკოზიდი 1, რომელიც ახალი ორგანული ნივთიერებაა, დებილოზიდი B და როზეოზიდი; ნაყოფებიდან: N-ტრანს-ფერულოილ-თირამინი; ფესვებიდან: საქაროზა.



(3R,4R,7E,9R)-5,7-მეგასტიგმადენ-3,4,9-ტრიოლ 9-O-β-D-გლუკოპირანოზიდი

## 2.4 ნაშრომის პრაქტიკული გამოყენება

ჩვენი მონაწილეობით *Tribulus terrestris*-დან შემუშავებულია ნატურალური ბიოლოგიურად აქტიური დანამატი “Atherosponin” – “ათეროსპონინის” სახელწოდებით (კაფსულები), რომელშიც შენარჩუნებულია მცენარეში არსებული ნივთიერებები ბუნებრივი სახით. მწვავე და ქრონიკულ ექსპერიმენტში დადგენილია მისი სრული უვნებლობა. ათეროსპონინის გამოყენების ჩვენებები ტრიბუსპონინის იდენტურია. დამატებით შეიძლება აღინიშნოს: გამლიერებული და მიმე ფიზიკური დატვირთვები; ათლეტური კონკურსისთვის მზადება; სისტემატური სპორტული რეჟიმი; აგრეთვე საკვების დაქვეითებული შეთვისება ტრავმისა და ქირურგიული ოპერაციების შემდეგ, დუნედ

მიმდინარე ავადმყოფთა რეაბილიტაციის პერიოდი; მამაკაცთა უნაყოფობა.

სტეროიდული გლიკოზიდები, როგორც ზედაპირულად აქტიური ნივთიერებებია, ხასიათდებიან მემბრანოტროპული თვისებებით. მოქმედებენ რა მცენარეული უჯრედის მემბრანაზე, ზრდიან მის განვლადობას, არეგულირებენ წყალ-მარილოვან ბალანსს, ერთვებიან მცენარეთა ზრდის მეტაბოლიტურ პროცესებში და ნივთიერებათა ცვლაში ბიორეგულატორულ ფუნქციას ასრულებენ; კულტურულ მცენარეებში შეყვანისას ფიტოჰორმონების მსგავსად მოქმედებენ, თუმცა ქიმიური ბუნებით მკვეთრად განსხვავდებიან მათგან. ყოველივე ეს სტეროიდული საპონინების ალელიოპათიაში გამოყენების შესაძლებლობას ჰქმნის. ალელიოპათია გულისხმობს მცენარეული ნივთიერებების ზემოქმედებას მცენარეთა განვითარებაზე მათი გამძლეობის, მოსავლიანობის ზრდას და ეკოლოგიურად სუფთა აგროსისტემის შექმნას.

ამ მიმართულებით ი. ქუთათელაძის სახელობის ფარმაცოქიმიის ინსტიტუტში შესწავლილია საქართველოში სამრეწველო მასშტაბით კულტივირებული *Yucca gloriosa L.* - იუკა დიდებულის - უხვად მოყვავილე მცენარის ყვავილების სტეროიდული გლიკოზიდების პრეპარატი „ალექსინის“ სახელწოდებით და *Tribulus terrestris* - კუროსთავიდან მომზადებული ათეროსკლეროზის სამკურნალო და პროფილაქტიკურ საშუალება „ტრიბუსპონინის“ სუბსტანცია (პრეპარატ 2-ის სახელწოდებით)

ტრიბუსპონინის სუბსტანციის გავლენის შესწავლა სასოფლო-სამეურნეო კულტურების ზრდა-განვითარებაზე ჩატარდა: ლევან ყანჩაველის მცენარეთა დაცვის, იულონ ლომოურის მიწათმოქმედების; მებაღეობის მევენახეობის და მეღვინეობის ინსტიტუტებში; მცენარეთა სელექციური მიღწევების გამოცდისა, დაცვის სახელმწიფო ინსპექციაში და სხვაგან.

ყველა შემთხვევაში ნაჩვენებია პრეპარატის მცირე კონცენტრაციის წყლიანი ხსნარის დადებითი ეფექტურობა. სტიმულატორი კომპლექსურად მოქმედებს მცენარეთა ცალკეულ ორგანოებზე, მათი განვითარების და მოსავლის ყველა განმაპირობებელ კომპონენტზე.

მცენარეთა სელექციურ მიღწევათა გამოცდისა და დაცვის სახელმწიფო ინსპექციის მიერ ჩატარებული ლაბორატორიული და საწარმოო დაკვირვებებით (ასურეთის და დმანისის სადგურებში) პრეპარატით თესლების თესვისწინა დამუშავებით დადგენილია ხორბლისა და ქერის ზრდისა და განვითარების ენერჯის მნიშვნელოვანი გაძლიერება.



პრეპარატ N 2 გავლენა სოიისა და ლობიოს მოსავალზე

პრეპარატის კონცენტრაცია %	პრეპარატი N2					
	სოია			ლობიო		
	მოსავალი ერთი მეტრიდან, გ	მოსავლის ნაშტი, გ	მოსავლის ნაშტი, %	მოსავალი ერთი მეტრიდან, გ	მოსავლის ნაშტი, გ	მოსავლის ნაშტი, %
0.0015	212	67	46.2	172	42	32.3
0.005	248	103	71.0	214.8	84.8	65.2
კონტროლი	145	-	-	130	-	-

ცხრილი 2-დან ჩანს, რომ პრეპარატ N 2-ის 0.005% წყლიანი ხსნარის გავლენით ლობიოსა და სოიოს მოსავლიანობის მატებამ შესაბამისად 71% და 65.2% შეადგინა.

სამკურნალო მცენარე *Catharanthus roseus G. Don* პრეპარატ N 2 გავლენა თესლების აღმოცენებაზე, ვეგეტატიურ ორგანოების განვითარებაზე, მოსავლიანობასა და ალკალოიდების შემცველობაზე

პარამეტრები	პრეპარატი N2			
	კონტროლი	10 მგ/ლ	20 მგ/ლ	50 მგ/ლ
თესლების აღმოცენება, %	70	81	90	90
აღმოცენების მატება, %	-	15.7	28.6	10
ნერგების სიმაღლე, სმ	43.4	56.5	58.0	51.5
ვარჯის ზომები, სმ	23X26	28X28	34X41	31X36
ამონაყარების რაოდენობა, ც	47	60	73	59
მოსავლიანობა ც/ჰა	5.2	6.24	6.76	5.85
მოსავლიანობის ზრდა, %	-	20	30	12.5
ალკალოიდების ჯამი, %	0.49	0.62	0.70	0.56

შთამბეჭდავი შედეგებია მიღებული სამკურნალო მცენარეზე. როგორც ცხრილი 3-დან ჩანს ყველაზე კარგი შედეგებია 20 მგ/ლ კონცენტრაციის გამოყენების დროს. ამ შემთხვევაში კონტროლთან შედარებით 20 %-ით იზრდება *Catharanthus roseus* -ს თესლის აღმოცენება, მნიშვნელოვნად იმატებს ამონაყარების რაოდენობაც, მოსავლიანობის ზრდამ 30% შეადგინა, ხოლო მცენარეში ალკალოიდების რაოდენობა 0.49 %-დან 0.70 %-მდე გაიზარდა.

ზემოთ მოყვანილი მონაცემებიდან ვფიქრობთ ექვს არ იწვევს ტრიბუსპონინის სუბსტანციის ეფექტურობა მცენარეთა ზრდა-

განვითარებისა და მოსავლიანობის მატებისათვის. მაგრამ სამკურნალო საშუალებისა და სოფლის მეურნეობაში გამოსაყენებელი პრეპარატების რაოდენობა და მასშტაბები დიდად განსხვავდება ერთმანეთისაგან. პირველი მათგანის ხარჯვა მეორე დანიშნულებისათვის ეკონომიკურად გაუმართლებელია. ტრიბუსპონინის მიღების ტექნოლოგია მრავალსტადიურია და ორგანული გამხსნელების დიდ ხარჯს მოითხოვს.

ჩვენ შევეცადეთ კუროსთავიდან სტეროიდული გლიკოზიდების მიღების ტექნოლოგიის გამარტივებას.

ტრიბუსპონინის მიღების ტექნოლოგია შემდეგი სქემით მიმდინარეობს: კუროსთავის 3/მ დაწვრილმანებულ ფოთლებს 75% ეთანოლით გამოწვლილავენ. ექსტრაქტიდან სპირტს გამოხდიან, წყლიან სითხეს ქლოროფორმით ასუფთავებენ და ალუმინის ოქსიდის ფენაში გაატარებენ, წყლიან ელუატს შესქელების შემდეგ ხსნიან მცირე რაოდენობა მეთანოლში და გადალექავენ 5-მაგი მოცულობა აცეტონიდან. ნალექს გამოფილტრავენ, ჩარეცხავენ აცეტონით, აშრობენ და აწვრილმანებენ. ამგვარად მიიღება საბოლოო პროდუქტი **4-5 %**-ის ოდენობით სტეროიდული გლიკოზიდების შემცველობით **20-27 %**. გამოყენებული მეთანოლი-აცეტონის ნარევის განცალკავება აღდგენისათვის მეტად რთულია და პრაქტიკულად მთლიანად იხარჯება.

კუროსთავის სტეროიდული გლიკოზიდების მიღების ჩვენს მიერ მოწოდებული ტექნოლოგიის პრინციპი შემდეგში მდგომარეობს: კუროსთავის 3/მ მიწისზედა დაწვრილმანებულ ნაწილს ეთანოლით ვწვლილავდით რამდენჯერმე. გაერთიანებული ექსტრაქტიდან სპირტის გამოხდის შემდეგ წყლიან სითხეს ქლოროფორმით ვასუფთავებდით და ადსორბენტ Diaion HP-20 სვეტზე გადაგვქონდა. სვეტიდან სტეროიდული გლიკოზიდების ელუირებას 80% სპირტით ვახდენდით, ელუატს ვასქელებდით, ვაშრობდით და ვაწვრილმანებდით.

მიიღება **12-14%** ყავისფერი ამორფული ფხვნილი, სტეროიდული გლიკოზიდების შემცველობა მასში **80%**-ს აღწევს.

ამგვარად გამარტივებულია ტექნოლოგიური პროცესი, გლიკოზიდების ჯამის გამოსავალი და მასში სტეროიდული გლიკოზიდების შემცველობა გაორმაგებულია. სოფლის მეურნეობის კულტურებზე გამოყენებისათვის დოზა შეიძლება 2-ჯერ შემცირდეს.

აღნიშნული ტექნოლოგიით მიღებული პრეპარატი N 2 ვარიანტის სახელწოდებით გამოიცადა აგროეკოსისტემის განვითარების კავშირში - „ეკოსანდოში“. გამოვლინდა ზრდის თავისებურებანი, გაღვივების ენერჯის, აღმოცენების გაძლიერება, გარემო პირობებთან შეგუებისა და მოსავლიანობის მატება, ვეგეტაციის პერიოდის შემცირება. დადგინდა ახალი ვარიანტით მიღებული პრეპარატის უპირატესობა ძველთან შედარებით. მოსავლიანობამ 20-25 %-ით მოიმატა.

კუროსთავის სტეროიდული გლიკოზიდები წყალში კარგად ხსნადი ბიოდეგრადირებადია, სრულად უვნებელია, გენეტიკური აქტივობით არ ხასიათდებიან, დაბალ კონცენტრაციაში იხმარება, ეკოლოგიურად სუფთა პროდუქტის მიღების შესაძლებლობას იძლევა და გამოსაყენებლად იოლია.

ამრიგად სოფლის მეურნეობის კულტურების ზრდა-განვითარებისა და მოსავლიანობის მომატებისათვის კუროსთავის სტეროიდული გლიკოზიდების მიღების ახალი მეთოდის უპირატესობა პრეპარატ ტრიბუსპონინის სუბსტანციასთან შედარებით აშკარაა, რაც მისი ფართო გამოყენების შესაძლებლობას განაპირობებს და ეკონომიკურ ეფექტურობას აუმჯობესებს.

ბიოლოგიური აქტივობის ახალი მონაცემების გამოვლინებისათვის კუროსთავის ნაყოფებს ვიყენებდით. კუროსთავის 50 გ ნაყოფების სპირტ-წყლიან ექსტრაქტს ლიპიდებისა და ლიპოფილური ნივთიერებებისგან ქლოროფორმით ვასუფთავებდით. მცენარეული ნაშთს გაშრობის შემდეგ 80 % ეთანოლით ვწვლილავდით. ექსტრაქტს ვასქელებდით და ვაშრობდით. ვღებულობდით ყავისფერ ამორფულ ფხვნილს 2 გ ოდენობით.

კუროსთავის ნაყოფების ექსტრაქციის გამოკვლევა ჩატარდა ტკივილგამაყუჩებელ აქტივობაზე ფარმაკოქიმიის ინსტიტუტის კლინიკამდელი ფარმაკოლოგიური კვლევის დეპარტამენტში (გამგე კ. მულკიჯანიანი).

დადგენილია, რომ ობიექტი საერთაშორისო ჰარმონიზებული კლასიფიკატორის (GHS) მიხედვით IV კატეგორიას - LD<sub>50</sub><500 მგ/კგ მიეკუთვნება და სრულიად უვნებელია.

კვლევის შედეგად გამოვლინდა ანალგეზური ეფექტი. ექსტრაქტმა აჩვენა არაოპიოიდური ტკივილგამაყუჩებელი მოქმედება.

მიღებულია დასკვნა, რომ კუროსთავის ნაყოფების ექსტრაქტს გააჩნია ტკივილგამაყუჩებელი მოქმედება, სავარაუდოდ პროსტაგლანდინების სინთეზის ინჰიბირების ხარჯზე.

კვლევები კუროსთავის ნაყოფების ექსტრაქტის ფარმაკოლოგიური შესწავლის მიმართულებით, აღნიშნული მოქმედების სავარაუდო საშუალების შექმნის მიზნით გაგრძელდება.

## 2.5 დასკვნები

1. *Tribulus terrestris* L. - კუროსთავის საქართველოში მოზარდი მცენარის ცალკეული ორგანოების ძირითადი ნაწილი ფოთლებია, შემდეგ ღეროები, ნაყოფები, ბოლოს ფესვები. მთავარი მოქმედი ნივთიერებებით ფუროსტანოლური გლიკოზიდებით ყველაზე მდიდარია ფოთლები, შემდეგ ნაყოფები, ფესვები და ღეროები. საქართველოს სხვადასხვა კლიმატურ-ნიადაგობრივ ზონაში მოზარდ მცენარეში მათი რაოდენობა ცვალებადობს, მაგრამ ძირითადი ტენდენცია შენარჩუნებულია.
2. *Tribulus terrestris* - ში უმეტეს წილად საპოგენინების: დიოსგენინის, ტიოგენინის, ჰეკოგენინის და გიტოგენინის წარმოებული გლიკოზიდები ბიოსინთეზირდებიან. ფოთლებიდან გამოყოფილი და იზოლირებულია 9 ფუროსტანოლური გლიკოზიდი, მათ შორის ორი ახალი. პირველი მათგანი სულფულირებული *აღმოჩნდა*, მეორე კი ფსევდოჰეკოგენინის წარმოებული გლიკოზიდია: (25R)-26-O-β-D-გლუკოპირანოზილ, ფუროსტ-5(6), 20(22)-ენ-3β, 26-დიოლ 3-O-α-L-რამნოპირანოზილ-(1→2)-O-4-სულფო-β-D-გლუკოპირანოზიდი; (25R)-26-O-β-D-გლუკოპირანოზილ- 5α-ფუროსტ- 20(22)-ენ-3β, 26-დიოლ-12-ონ 3-O-β-D-ქსილოპირანოზილ-(1→2)-O-[β-D-გლუკოპირანოზილ-(1→3)]-O-β-D-გლუკო-პირანოზილ-(1→4)-O-β-D-გალაქტოპირანოზიდი. მცენარის სხვა ნაწილებიდან გამოყოფილი და დახასიათებულია იქნა 5-5 ფუროსტანოლური გლიკოზიდი, რომლებიც შეესაბამებიან ფოთლების სტეროიდული ჯამიდან გამოყოფილ ნივთიერებებს. საქართველოში მოზარდი *Tribulus terrestris* - ში ფუროსტანოლების მაღალი შემცველობა უფლებას გვაძლევს ტრიბუსპონინისა და სხვა სამედიცინო პრეპარატის წარმოებისთვის რეკომენდაცია მივცეთ მცენარის მთლიანი მასის გამოყენებას.
3. ჩვენი ადრინდელი გამოკვლევებით ნაჩვენები იყო კუროსთავში ფლავონოიდების შემცველობა. ვაგრძელებდით რა მუშაობას ამ მიმართულებით ახალი მონაცემებია მიღებული, კუროსთავის ფოთლების ქვერცეტივისა და იზორამნეტივის ფლავონოიდური გლიკოზიდების მონოსაქარიდულ ნაწილში შედარებით იშვიათი

მონოსაქარიდი აპიოზაა აღმოჩენილი. გამოყოფილი და იდენტიფიცირებულია 10 ფლავონოიდური გლიკოზიდი, 4 მათგანი აპიოზების შემცველი ახალი ორგანული ნივთიერებაა, მათ აპიოტრიბოზიდები A, B, C, D ეწოდათ: **ქვერცეტინ-3-O-β-D-აპიოფურანოზილ-(1→2)-[β-D-აპიოფურანოზილ-(1→6)]-β-D-გლუკოპირანოზიდი - აპიოტრიბოზიდი A; ქვერცეტინ-3-O-β-D-აპიოფურანოზილ-(1→2)-[α-L-რამნოპირანოზილ-(1→6)]-β-D-გლუკოპირანოზიდი - აპიოტრიბოზიდი B; იზორამნეტინ-3-O-β-D-აპიოფურანოზილ-(1→2)-[β-D-აპიოფურანოზილ(1→6)]-β-D-გლუკოპირანოზიდი - აპიოტრიბოზიდი C; იზორამნეტინ-3-O-β-D-აპიოფურანოზილ-(1→2)-[α-L-რამნოპირანოზილ(1→6)]-β-D-გლუკოპირანოზიდი - აპიოტრიბოზიდი D**

კუროსთავის ნაყოფების HPLC ანალიზით ფლავონოიდურ ჯგუფში ფოთლებისგან განსხვავებით ჩანს 2 დომინანტი და 10 მინორული ფლავონოიდური გლიკოზიდი. გამოყოფილი და დახასიათებულია 5 ფლავონოიდი და 1 ფენოლური ნივთიერება. ფესვების HPLC მკვეთრად გამოირჩევა სხვა ორგანოებიდან. აქ პოლარული ნივთიერებები ჭარბობენ და წარმოდგენილია 7 დომინანტი და 16 მინორული კომპონენტით. გამოყოფილი და დახასიათებულია 2 ფენოლური ნივთიერება საიდანაც 1 ახალია: **ბენზიდი 2-O-სულფო-β-D-გლუკოპირანოზიდი**

4. *Tribulus*-ის გვარში პირველადაა აღმოჩენილი ნუკლეოზიდები. გამოყოფილი და დახასიათებულია ფესვებიდან **ადენოზინი, გუანოზინი, ციტიდინი**; ნაყოფებიდან **ურიდინი**; ფოთლებიდან ფუმე - **ადენინი**.
5. კუროსთავიდან გამოყოფილია მეგასტიგმანის გლიკოზიდი: **(3R,4R,7E,9R)-5,7-მეგასტიგმადიენ-3,4,9-ტრიოლ 9-O-β-D-გლუკოპირანოზიდი** რომელიც ახალი ორგანული ნივთიერებაა. გამოყოფილია აგრეთვე მეგასტიგმანი როზეოზიდი, დებილოზიდი B და ალკალოიდი N-ტრანს-ფერულოილ-თირამინი
6. ჩვენი მონაწილეობით მოწოდებულია კუროსთავის ნატურალური ფორმა ბიოლოგიურად აქტიური დანამატის სახით „ათეროსპონინის“ სახელწოდებით, რომელშიც შენარჩუნებულია მცენარის ნივთიერებები ბუნებრივი სახით და ცნობილი

პრეპარატის ტრიბუსპონინის ანალოგიური მოქმედებით ხასიათდება.

ჩვენი გამოკვლევებით გადაწყვეტილია კუროსთავის პრეპარატის ალელოპათიაში გამოყენების საკითხი, როგროც სოფლის მეურნეობის კულტურების ზრდა-განვითარების ეფექტური სტიმულატორი.

7. კუროსთავის ნაყოფების სპირტწყლიანმა ექსტრაქტმა ბიოლოგიურ ექსპერიმენტში სპეციფიკური არაოპიოდურ ტკივილგამაყუჩებელი მოქმედება გამოამჟღავნა. კვლევები მისგან სავარაუდო სამკურნალო საშუალების შექმნისთვის გაგრძელდება
8. საქართველოში მოზარდი კუროსთავის მდიდარმა ქიმიურმა შედგენილობამ, რიგი ახალი მონაცემებით შეიძლება გარკვეული სიცხადე შეიტანოს კუროსთავის მრავალმხრივი ფარმაკოლოგიური მოქმედების მექანიზმის ახსნაში.

### 3. დისერტაციის თემასთან დაკავშირებული პუბლიკაციების ნუსხა

#### სტატიები:

1. V. Nebieridze, A. Skhirtladze, E. Kemertelidze, M. Ganzera. New Flavonoid Glycosides from the Leaves of *Tribulus terrestris*. Natural Product Communications. 2017, 12(0).
2. В. Г. Небиеридзе, А. В. Схиртладзе, Э. П. Кемертелидзе, М. Ganzera. Нуклеозиды из *Tribulus terrestris* L. Химия Природ. Соед. 2017.
3. V. Nebieridze, A. Skhirtladze, M. Benidze, E. Kemertelidze, Marcus Ganzera. Furostanol Glycosides from the Leaves of *Tribulus terrestris* L. Georgia Chemical Journal. 2017.
4. A. Skhirtladze, V. Nebieridze, M. Benidze, E. Kemertelidze, M. Ganzera. Furostanol glycosides from the roots of *Tribulus terrestris* L. Bulletin of the Georgian National Academy of Sciences, 2017, 11(1), 122-126.
5. V. Nebieridze. Flavonoid glycosides from the leaves of *Tribulus terrestris* growing in Georgia. Proceedings of the Georgian National Academy of Sciences, Chemical Series, 2015, 41(3), 240-243.
6. ვ. ნებიერიძე. *Tribulus terrestris* – კუროსთავის სტეროიდული და ფენოლური ნივთიერებები. ქართული უნივერსიტეტის შრომები. 2015, 2, 222-227.
7. ვ. ნებიერიძე. *Tribulus terrestris* – კუროსთავის ცალკეული ვეგეტატიური ორგანოების გამოკვლევა. საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის მაცნე, ქიმიის სერია, 2014, 40(2-3), 198-201.

#### თეზისები:

- 1.V. Nebieridze, A. Skhirtladze, E. Kemertelidze and M. Ganzera. Investigation of chemical composition of *Trbulus terrestris* L. roots. International PSE Symposium. New and old phytochemicals: their rirole in ecology, veterinary and welfare, 2017, September 17-19, Chieti, Italy

2. V. Nebieridze, A. Skhirtladze, E. Kemertelidze and M. Ganzera. New Flavonoid Glycosides from *Tribulus terrestris* L. Trends in natural product research – PSE young scientists's meeting. Natural products in health, agro-food and cosmetics. 2017, 28 June - 1 July Lille, France.

3. ვ. ნებიერიძე, ა. სხირტლაძე, ნ. საყვარელიძე, მ. განცერა. *Tribulus terrestris* ახალი ფუროსტანოლური გლიკოზიდი. მესამე სამეცნიერო კონფერენცია „ბუნებრივი და სინთეზური ბიოლოგიურად აქტიური ნივთიერებები“, 2016, 124-125, 24-25 ოქტომბერი, თბილისი.

4. ვ. ნებიერიძე, ა. სხირტლაძე, ე. ქემერტელიძე, მ. განცერა. *Tribulus terrestris* ახალი ფლავონოიდური გლიკოზიდები. მესამე სამეცნიერო კონფერენცია „ბუნებრივი და სინთეზური ბიოლოგიურად აქტიური ნივთიერებები“, 2016, 133-135, 24-25 ოქტომბერი, თბილისი.

5. ვ. ნებიერიძე, ა. სხირტლაძე, ე. ქემერტელიძე, მ. განცერა. რიბონუკლეოზიდები *Tribulus terrestris* L.-დან. მესამე სამეცნიერო კონფერენცია „ბუნებრივი და სინთეზური ბიოლოგიურად აქტიური ნივთიერებები“, 2016, 142-144, 24-25 ოქტომბერი, თბილისი.

6. V. Nebieridze. Flavonoid glycosides from leaves of *Tribulus terrestris*. 3rd international conference on pharmaceutical science. 2015, 130, 29-30 May, Tbilisi.

7. V. Nebieridze. *Tribulus terrestris* growing in Georgia: A rich source of steroidal and flavonoid glycosides. 11th International Symposium on the Chemistry of Natural Compounds. 2015, 187, 1-4 October, Antalya, Turkey.

8. V. Nebieridze. Flavonoid glycosides from leaves of *Tribulus terrestris*. ახალგაზრდა მეცნიერთა კონფერენცია. 2015, 74-75, 18-19 მაისი თბილისი.

9. ვ. ნებიერიძე. კუროსთავის სტეროიდული და ფლავონოიდური გლიკოზიდები. ქართული უნივერსიტეტის I სამეცნიერო კონფერენცია. 2015, 141-144, 21 ოქტომბერი, თბილისი.

10. ვ. ნებიერიძე. საქართველოში მოზარდი მცენარის *Tribulus terrestris* L. - ცალკეული ორგანოების ქიმიური შედგენილობის შესწავლა. მეორე სამეცნიერო კონფერენცია „ბუნებრივი და სინთეზური ბიოლოგიურად აქტიური ნივთიერებები“, 2013, 117-118, 25-26 ნოემბერი, თბილისი.





St. Andrew the First-Called Georgian University of the  
Patriarchate of Georgia

*On the rights of manuscript*

**School (Department) of Informatics,  
Mathematics and Natural Sciences**

Educational Program - Chemistry of biologically active substances and medicinal  
expertise

**Vazha Nebieridze**

**Study of chemical constituents of different parts of *Tribulus  
terrestris* L., growing in Georgi**

Abstract

Of thesis on academic degree of Doctor of Natural Sciences

05 Sciences/natural sciences

Branch/specialty – 0503 chemistry

Tbilisi  
2017

Scientific paper has been performed in TSMU Iovel Kutateladze Institute of Pharmacochemistry and Informatics, Mathematics and Natural Sciences of the St. Andrew the first-called Scientific University of the Georgian Patriarchate.

Scientific Supervisor: **Ether Kemertelidze**  
Academician, Doctor of Pharmaceutical  
Sciences, Proffesor

Official Opponents: **Nugzar Aleksidze**  
Doctor of Biology, Professor

**Maia Merlani**  
Academic Doctor of Chemistry,  
Professor

Defence of the thesis will be held on 10 July 2017 at 14 o'clock at St. Andrew the first-called Scientific University of the Georgian Patriarchate, School (Department) Informatics, Mathematics and Natural Sciences, at the meeting of dissertation committee of Schools (Departments)

Adress: 0162, Tbilisi, № 53a Ilia Chavchvadze Ave., II Housing Assembly Hall. Ilia Vekua auditory.

Dissertation text is available at St. Andrew the first-called Scientific University of the Georgian Patriarchate.

The abstract of the thesis is sent on “\_\_\_\_\_” 2017

Secretary of Dissertation Council,  
Candidate of Technical Sciences, Proffesor

Temur Kiviladze

# 1. General characterization of the work

## 1.1. Relevance of the topic

Despite the greatest success of organic synthesis, natural substances, including those of vegetable origin, occupy a special place in the field of creation of medicinal drugs. Lately, the resistance (adaptability) of many diseases to antibiotics, sulfanilamide's and other synthetic drugs and their undesirable side effects have caused increased interest in herbal medicines worldwide.

The diverse flora of Georgia, where up to 4,600 species are described is an inexhaustible source of biologically active substances, offers a broad perspective for pharmacochemical research and provides great opportunities for creating medicinal drugs of different actions.

*Tribulus terrestris* L. is recognized as one of the best medicinal plant of polymorphic pharmacological efficiency and therapeutic action in modern medicine. By numerous researches it has been established that *T. terrestris* affects almost on all vital functions of an organism that is caused by the biologically active substances which are contained in the plant.

